
ენისა და იდენტობის პრობლემები ემიგრანტი მწერლების შემოქმედებაში
Language and Identity Issues in the Works of Emigrant Writers

Natela Chitauri

ნათელა ჩიტაური

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Psychosocial Identities in Emigration Literary Discourse:

Georgian Emigrant Literature. Georgian Diasporic Literature

**ფსიქოსოციალური იდენტობები ემიგრაციულ ლიტერატურულ დისკურსში:
ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქართული დიასპორული მწერლობა**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10894>

Our research group has separated from each other, distinguished and studied: *Georgian Emigrant Literature* (from the 1920s to the 1980s); *Georgian Diasporic Literature* (from the late 20th century to the present). In these two qualities of emigrant literary discourse We investigated **psychosocial identities** (including cultural shock, trauma, alienation, nostalgia, resentment, spiritual and cultural distance, adaptation, personal-cultural hybridity). The degree of creative potential of an individual, who has migrated overseas, is determined by their psychosocial identity, according to migration and cultural studies. **psychosocial identities** and accordingly significantly varies between Georgian Emigrant literature of the 20th century and Georgian Diasporic literature of the 21st century.

Keywords: psychosocial identities, emigrant, *diasporic*, literary discourse, creative potential

საკვანძო სიტყვები: ფსიქოსოციალური იდენტობა, ემიგრანტული, დიასპორული ლიტერატურული დისკურსი, შემოქმედებითი პოტენციალი

პიროვნების სულიერი სამყარო ასახავს ფსიქოსოციალურ ასპექტებს. ადამიანზე გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები, ფასეულობები, მაგრამ ამავე დროს მას აქვს საკუთარი ინდივიდუალური სამყარო, მსოფლმხედველობა, ემოციები. ყოველივე ეს კი უშუალოდ „მე“-ს კონცეფციას, ადამიანის ფსიქოსოციალურ იდენტობას ქმნის.

უკვე XX საუკუნის დასაწყისიდან, მოდერნიზმისა და შემდგომ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, რეალურადაც და სოციოკულტურულ კვლევებშიც გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი:

დღეს ნაციონალურ, კოლექტიურ იდენტობებზე მეტად აქტიური და, შესაბამისად, განსახილველი გახდა ფსიქოსოციალური იდენტობები, რომლებიც მოცემული დროსივრცით და მიმდინარე კონტექსტებით იქმნება. დღეს თვითიდენტიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს არა ნაციონალური ან კოლექტიური იდენტობების „საფარქვეშ“, არამედ ინდივიდისა და სწრაფად ცვლადი

გარემოს ინტერაქციის კვალდაკვალ. აღმოჩნდა, რომ კომუნიკაციური მეხსიერება (განპირობებულ-ლია დრო-სივრცით) კულტურულ მეხსიერებაზე (განპირობებულია წარსულით) ძლიერი აღმოჩნდა, სწორედ ამიტომაც ასე გამრავალფეროვნდა პიროვნულ, შესაბამისად, ფსიქოსოციალურ იდენტობათა მოდიფიკაციები, რომელთაც კომუნიკაციური მეხსიერება აყალიბებს.

შესაბამისად, იდენტობათა (მათ შორის ნაციონალური) შესწავლის მეთოდები დღეს უმეტესად განისაზღვრება ფსიქოსოციალურ იდენტობათა ალტერნატივებით, მიმდინარე კონტექსტის შესწავლით. „იდენტობათა შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა იმ დროსივრცულ არეალს, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს“ (Beyers, 2008).

ფსიქოსოციალურ იდენტობათა საგულისხმო პანორამას ქმნის ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტები.

მართალია, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა „ადგილზე შექმნილ“ მწერლობაში იდენტობის საკითხებს აქტიურად იკვლევს, მაგრამ **ქართველი მოღვაწეების მიერ საქართველოს გარეთ შექმნილი ტექსტების იდენტობათა ჭრილში გააზრების პრეცედენტი ჯერჯერობით არ არსებობს.**

ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა დაიწყო იდენტობათა შესწავლა „სამშობლოს გარეთ“ შექმნილ ტექსტებში, რისთვისაც აუცილებელი გახდა თანამედროვე ინტერდისციპლინური თეორიების, კვლევების გათვალისწინება და მათი აპრობაცია ქართულ რეალობაში. შესაძლებლობა მოგვეცა ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიერ დაფინანსებული ორი პროექტის (2012-2015; 2018-2021) ფარგლებში შეგვესწავლა:

ქართული ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე), რომლის სახელწოდებად დავტოვეთ **ქართული ემიგრანტული მწერლობა**; ქართული დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის ბოლოდან დღემდე), რომელიც სხვადასხვა დეფინიციების გათვალისწინების შემდგომ ჩვენ მიერ იწოდება ამგვარად: **ქართული დიასპორული მწერლობა.**

აღმოჩნდა, რომ ფსიქოსოციალური იდენტობები ყველაზე აქტიურად ასახავს მიგრაციული კონტექსტების გავლენას პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე.

ემიგრაციულ ლიტერატურულ დისკურსში ფსიქოსოციალურ იდენტობები შემდეგი სახეობებით გვევლინება: კულტურული შოკი, ტრავმა/კულტურული ტრავმა (თუ ემიგრანტულ ტრამვას ემატება კოლონიურ/პოსტკოლონიური ტრავმა, უკვე ვიღებთ სხვა თვისობრიობის ტრავმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „ტრავმული გამოცდილების ორმაგი კოდირება“), გაუცხოება, პროტესტი „უცხოს“ წინააღმდეგ, ნოსტალგია, რესენტიმენტი, ადაპტაცია, სივრცის იდენტიფიკაცია, სულიერი და კულტურული დისტანცია, პიროვნული, კულტურული ჰიბრიდულობა.

უცხოეთში კულტურათა შეხვედრის ემოციები განაპირობებს ფსიქოსოციალურ იდენტობათა იმ განსხვავებული სპექტრის, მრავალგანზომილებიანი პარადიგმების არსებობას, რომელთა მსგავსიც, შესაძლოა, „ადგილზე შექმნილ“ მწერლობაში ვერ მოვიძიოთ. თავის მხრივ, ეს ფსიქოსოციალური იდენტობები აქტიური, სასიცოცხლო სივრცეა შემოქმედებითობისათვის. შემოქმედებით, ლიტერატურაში რეალიზებით ბევრ ადამიანს უმსუბუქდება უცხოეთში ყოფნის სიმძიმე.

მიგრაციულ-კულტუროლოგიური კვლევების მიხედვით, ფსიქოსოციალურ იდენტობათა და შემოქმედებით შესაძლებლობებს შორის მჭიდრო კავშირია. როგორც აღმოჩნდა, ორივე ფენომენი დამოკიდებულია ემიგრაციის ტიპზე, ემიგრაციის ეპოქალურ მიზეზებსა და მიზნებზე;

ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვიმსჯელებთ კონკრეტულად რომელიმე მწერლის შემოქმედებაზე. შევეცდებით განვიხილოთ ფსიქოსოციალური კონცეპტები XX საუკუნის ქართულ ემიგრანტულ და XXI საუკუნის ქართულ დიასპორულ მწერლობაში; რაც მთავარია, წარმოვაჩინოთ განსხვავებანი ამ ორ ემიგრაციულ ლიტერატურულ დისკურსს შორის, შეძლებისდაგვარად ავხსნათ ამ განსხვავებათა მიზეზები.

1. XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ემიგრაცია პოლიტიკური ემიგრაციის ტიპს განეკუთვნება. ამ ემიგრაციამ XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოდან გამოიყოლა მრავ-

ვალპარტიულობის მსოფლხედვა, „ანტისაბჭოთა იდენტობა“. ეს ემიგრაცია თითქოს შენელებული კადრია, ცხოვრობს მხოლოდ ანტისაბჭოთა განწყობით, ახალი სამკვიდრო მკაცრი მამინაცვალი თუ ცივი დიასახლისია და უცხო მიწაზეც მხოლოდ შინდაბრუნების რწმენა აძლებინებთ.

სივრცის იდენტიფიკაცია (შეგუება დროისა და სივრცის მოცემულობასთან) პირველი ტალღის ემიგრაციაში არ შედგა. კომუნიკაციური მეხსიერება ნაკლებად ერთვება შემოქმედის სააზროვნო არეალში და მის სულიერ სამყაროს კულტურული მეხსიერება, ნაციონალური იდენტობის დაცვის მოტივაცია მართავს. მინიმალურია ამ ემიგრაციის უცხო გარემოსთან ადაპტაციის მცდელობა: ის თითქოს მხოლოდ საკუთარი სივრცით იფარგლება, „საკუთარ წვენში იხარშება“. გარემოსა და ადამიანის ურთიერთობის მოუწესრიგებლობის ამგვარ ფონზე ძლიერდება გაუცხოება, ნოსტალგია, ტრავმული ემოციები.

ამის გამო XX საუკუნის ემიგრანტულ მწერლობაში პიროვნულ, შესაბამისად, ფსიქოსოციალურ იდენტობათა მოდიფიკაციები მხოლოდ მკვეთრად გამოხატული ანტისაბჭოთა განწყობებითა და პოზიციებით, ნოსტალგიურ-ტრავმული ეფექტებით წარმართებოდა, ნაკლებად მონიშნებოდა სიტუაციური, თუნდაც ევროპულ-მოდერნისტული კონტექსტები. მხატვრული შემოქმედებაც კი ნაკლებად ქმნიდა საფუძვლებს ფსიქოსოციალურ იდენტობათა მრავალფეროვნებისათვის. პოლიტიზებამ, ნაციონალური იდენტობის კონცეპტებმა, კულტურულმა მეხსიერებამ, არქტიპულმა მოდელებმა ნაკლებად შექმნა პიროვნულ იდენტობათა სხვა კონტექსტებში გააზრების შესაძლებლობა.

გიორგი გამყრელიძის, სიმონ ბერეჟიანის, გიორგი ყიფიანის, სოსო ჟორჯოლიანის, გიორგი წერეთლის/პერევისელის, ილია კუჭუხიძის, აკ. პაპავას და სხვ. შემოქმედების ძირითადი წარმართველი თემებია ეროვნული იდეალები, პატრიოტიზმი, წარსულის იდეალიზაცია, სულიერი ობლობის, მუდმივი მონატრების, მიუსაფრობის მოტივები, პოლიტიკური განწყობები. შედარებით განსხვავებულია ნიკოლოზ ჩხოტუას რომანი „მარადიულო“, ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების რომანი „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, ლადო არველაძის „მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის“, აკაკი და თამარ პაპავას მემუარები. ნიკოლო მიწიშვილის (ნიკოლოზ სირბილაძე) და ემიგრაციაში შექმნილი სტეფანე კასრადის დოკუმენტური პროზის ნიმუშები. თავისთავად გრ. რობაქიძის შემოქმედება.

ფსიქოსოციალური კონცეპტები შედარებით სიღრმისეულია XX საუკუნის ემიგრანტული მწერლობის იმაგოლოგიურ დისკურსში. ვიქტორ ნოზაძის, ნიკოლო მიწიშვილის შემოქმედებაში ანტისაბჭოთა იდენტობას თითქოს ჩაანაცვლებს იდენტობათა კრიტიკული შეფასებანი. ამ მხრივ გამორჩეულია ვ. ნოზაძის უცნობი, დღემდე გამოუქვეყნებელი ავტოგრაფული ნაშრომი „ქართული მოდგმა და ხასიათი. ქართველი კაცი“ (ნოზაძე, 1948).

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის შესწავლის შემდეგ ჩვენი დასკვნა ასეთია:

„არსებობს XX საუკუნის ერთიანი ქართული, ნაციონალური მწერლობა, რომლის ჩარჩოებში პარალელურად ვითარდებოდა ორი განსხვავებული ლიტერატურული პროცესი: ქართული საბჭოთა ლიტერატურა – საბჭოთა სივრცეში, საბჭოთა დიქტატურის პირობებში. ქართული ანტისაბჭოთა ლიტერატურა (XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა) – თავისუფალ ევროპულ სივრცეში სავალდებულო ანტისაბჭოთა კონიუნქტურით“ (ჩიტაური, 2016, გვ. 160).

ნაციონალური იდენტობის დაცვა ორივე შემთხვევაში ძნელი იყო; ერთ შემთხვევაში საბჭოთა რეჟიმის, მეორე შემთხვევაში კი უცხო სივრცის გამო. ორივე მწერლობამ მოახერხა ეროვნული იდენტობის დაცვა, მაგრამ სამამულო მწერლობა საბჭოთა სივრცეში შედარებით უფრო წარმატებით განვითარდა, ვიდრე XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა, უფრო კონკრეტულად, მხატვრული შემოქმედება. მიუხედავად საბჭოთა იდეოლოგიის, სოცრეალიზმის პრინციპების უპირობო დიქტატისა, რეპრესიებისა (და ეს ზეწოლა, შესაძლოა, განვითარების დიდ მოტივაციადაც იქცა), 20-30-იანი წლების საბჭოთა საქართველოში არსებობას ახერხებდნენ იდენტობის, შემოქმედებითი ტენდენციის განმსაზღვრელი სხვა კულტურული სივრცეებიც. ქართული მწერლობა მოდერნისტული მსოფლმხედველობის, ესთეტიკის, სახელოვნებო ოსტატობის საფუძველზე

გაცილებით აქტიურად, ვიდრე ემიგრანტული მწერლობა, განაგრძობდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა ტრადიციული, ნაციონალური კულტურული პარადიგმების „ევროპული რადიუსით გამართვას“, ქმნიდა ანტიკოლონიურ, ამიტომაც უფრო ძლიერ და სიღრმისეულ ანტისაბჭოთა დისკურსს.

რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები 1921 წლის შემდეგ საქართველოდან გასულ ინტელექტუალთა შესაძლებლობანი; როგორც აკაკი პაპავა ამბობდა, „სუსტია ჩვენი ძალები, ხელოვნებისა და პოეზიის დიდოსტატები იქ დარჩნენ...“ (პაპავა, 1960), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მიგრაციულ-კულტუროლოგიური კვლევების თეორიულ გამოცდილებას, XX საუკუნის ქართული ემიგრაციის რეალობას, ცხადი გახდება შემდეგი:

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა მრავალმხრივმა (სივრცითი, პოლიტიკური ანტისაბჭოთა ფორმით, ნოსტალგიური, იდენტობათა) ჩაკეტილობამ, ეროვნული იდენტობის დაკარგვის, წერისა და კვლევის უცხო სტილის მორგების შიშმა, ახალ გარემოსთან გაუცხოების ხანგრძლივმა პერიოდმა მხოლოდ საკუთარი სივრცით შემოფარგლა (სამშობლოში რომ დარჩენილიყვნენ, ისინი სიახლეებს ალბათ უფრო გაბედულად შეითვისებდნენ).

ამ ვითარებამ კი ჩამოაყალიბა ემიგრანტი მოღვაწის თავისებური ფსიქოსოციალური იდენტობა: მის შინაგან სამყაროში თანადროულობასთან ადაპტაციის ნაცვლად გაძლიერდა სამშობლოდან გამოყოლილი პოლიტიკური დევნილობის ტრაგიზმი, თანმხლები **ნოსტალგია, ტრავმა უკვე ცნობიერებად ჩამოყალიბდა.**

მართალია, მწერლობა იქცა იდენტობის დაცვის, კულტურული ტრავმის დაძლევის ყველაზე შედეგიან საშუალებად, მაგრამ ტრავმულმა ცნობიერებამ ადამიანებს დაუკარგა თავდაჯერებულობა, სითამამე, რაც ასე აუცილებელია შემოქმედებითი განვითარებისათვის. ეს ცნობიერება ცუდად აისახა შემოქმედებითი პოტენციალის ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა თემატური სიღრმე, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი. შედეგად ჩამოყალიბდა ერთფეროვანი თემატიკა, ერთმანეთის მსგავსი სათქმელი. ეს სათქმელი, მართალია, მოწოდებულია პირდაპირ, შეუნიღბავად, ქვეტექსტების გარეშე, თავისუფალია ბუნდოვანებისაგან, მაგრამ „პირდაპირ თქმის“ ეს ტენდენცია ზოგჯერ აზრს აუბრალოებს, აზრის პრიმიტიულად გამოხატვის შთაბეჭდილებას ახდენს.

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის განხილვისას გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია: ქართველ ემიგრანტებს იმის შიშიც ნამდვილად ჰქონდათ, რომ უცხოეთში მათი ენა ნელ-ნელა „ღარიბდებოდა“. ემიგრანტები ქართულად წერდნენ, მაგრამ ენას, მის გამდიდრებას სჭირდება მუდმივი კომუნიკაცია, ქართულად კომუნიკაციის შესაძლებლობა კი ემიგრაციაში ნაკლებად იყო.

თავად ემიგრანტი მოღვაწეები აღიარებდნენ: მშობლიური გარემო თითქოს „ათამამებდა“ შემოქმედს, „აიძულებდა“ შეექმნა უფრო ფასეული და ღირებული... ეს არაერთი ემიგრანტის ნააზრევში (უფრო პირად წერილებში) დასტურდება. მაგალითად მოგვყავს ამონარიდი ჟურნალ „კავკასიონის“ ერთ-ერთი დამაარსებელის, ლავრენტი კვარაცხელიას, ვ. ნოზაძისადმი 1964 წელს მიწერილი წერილიდან:

„არსებობს ერთნაირი ბუნების კანონი, რომელსაც ვერ გადაუხვალ: შემოქმედება სამშობლოს წიაღის გარეშე ვერ გაიშლება... მე ერთხანს განვიზრახე ტოლსტოის ნაწარმოებები მეთარგმნა, მაგრამ ვერ შევძელი. ენის მასალა არ მეყო. თითქმის ნახევარი საუკუნეა, სამშობლოს წყაროს მოშორებული ვარ და ენის ძირი გახმა. აქ ხომ განახლებაზე ფიქრიც ზედმეტია...“ (ნოზაძე, 1950, გვ. 70).

2. ქართული დიასპორული მწერლობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი კულტურამთაშორისი „მესამე სივრცე“. ამ სივრცით ის ნამდვილად არის ახალი „Weltliteratur“-ის [Sturm-Trigonakis, 2007] შემადგენელი ნაწილი, მისი სრულფასოვანი წევრი.

თუმცა საინტერესოა, რამდენად აქვს ქართულ დიასპორულ მწერლობას თავისი სპეციფიკური მახასიათებლები, რამდენად „ახერხებს“ მისი ფსიქოსოციალური იდენტობები შექმნას თავისი ნაციონალური დისკურსი ახალი „Weltliteratur“-ის ჭრილში, განსხვავებულია თუ არა ეს დისკურსი „ადგილზე შექმნილი“ ნარატივებისაგან.

პოსტმოდერნის, პოსტსაბჭოთა პერიოდის (იდენტობათა განსხვავებული პარადიგმები, ინდივიდუალური ლიბერალიზაცია, ახალი თემები – სამოქალაქო ომის, ეკონომიური სიდუხჭირისა და ფინანსური კრიზისის მძიმე ნეგატიური შედეგების, ეთნიკური კონფლიქტებისა და ომების დისკურსი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „ტკივილი“) გამოწვევები „ადგილზე“ შექმნილ ქართულ მწერლობაში აისახა, თუმცა ჩანს, პოსტსაბჭოთა ქართული სივრცე, ნაციონალური დისკურსი ნელა თავისუფლდება საბჭოთა ფობიებისა და ცენზურის ზეგავლენისაგან, საბჭოთა რეალობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული ადქმებისა და ნააზრევისაგან. მწერლობის ახალი თემატიკა დადგამულია ნიჰილისტური, ტრავმული, სტრესული მახასიათებლებით, ფსიქოსოციალური იდენტობები ყალიბდება და პერსონაჟთა თვითიდენტიფიკაცია მიმდინარეობს კრიზისულ კონტექსტებში. ეს განწყობა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნულია: „პოსტსაბჭოთა პერიოდი ... 1990-იანი წლებიდანვე ქართულ ლიტერატურაში აღიბეჭდა, როგორც ტრავმა, სტრესი ... ლიტერატურამ ამ პერიოდის სტრესულობა აღბეჭდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის გახდა კიდევ სტრესული, ტრავმული საზოგადოებისათვის თუ ცალკეული ინდივიდებისათვის“ (წიფურია, 2016, გვ. 89).

ვფიქრობთ, ნიჰილისტური, ტრავმული განწყობების გამო „ადგილზე“ შექმნილ მწერლობას ნაკლები შესაძლებლობა აქვს რეაგირება მოახდინოს იმ ასპექტებზე, რომელნიც ითვალისწინებს პერსპექტიულ ცვლილებებსაც. ამ მწერლობაში ასახული ფსიქოსოციალური კონცეპტები, ნაციონალური სტაბილური მოცემულობები და მათი ინტერპრეტაციები ნაკლებად იძლევა დღევანდელი გლობალური და განსაკუთრებით კი მიგრაციული გამოწვევების სიღრმისეულად გააზრების, გათვალისწინების საშუალებას.

საზღვარგარეთ მოღვაწე თანამედროვე ქართველი მწერლების შემოქმედება კოლონიური გამოცდილების მქონე საზოგადოებისა და კულტურის ნაწილია; **მწერლობამ, რომელიც 90-იანი წლებიდან იქმნება საზღვარგარეთ, „საგზადად“ გაიყოლა ამ პერიოდის რეალობა, ამ „საგზლით“ დაიწყო ქმნალობა და მოღვაწეობა, თუმცა ამას დამატა საკუთრივ მიგრაციული კონტექსტები:**

კულტურათაშორისი „მესამე სივრცე“ თავისი მახასიათებლებით: კულტურათა, იდენტობათა შეხვედრა, ნაციონალურ/ტრადიციულ და ინტერკულტურულ/ გლობალურ იდენტობათა კვეთა – წინააღმდეგობები, „მოდრავი“, რთული, ახალი იდენტობები; გააქტიურებული ეგზისტენციალური კითხვები – რატომ წავედი? მინდა თუ არა სამშობლოში დაბრუნება? (გავიხსენოთ XX საუკუნის ემიგრაცია: ყველა ემიგრანტის სურვილი სამშობლოში დაბრუნება იყო), როგორ შევძლებ თვითიდენტიფიკაციას, შესაძლებლობათა რეალიზებას უცხოეთში? რაც მთავარია, **იმაგოლოგიური დისკურსი ახალი თემებით, ემოციებით, „გარედან“, დისტანციიდან ხედვა, მრავალმხრივი შედარების საშუალება და ამის საფუძველზე მენტალობათა კრიტიკული განსჯა.**

ეს ყოველივე ქართულ დიასპორულ მწერლობაში ქმნის ფსიქოსოციალურ იდენტობათა ძალიან საინტერესო, მრავალფეროვან პანორამას, რომელსაც შეუძლია შემოგვთავაზოს თანამედროვე გლობალური სამყაროს ადქმის ალტერნატიული მოდელები, იქნება ეს განათლება, პროფესიის არჩევა, საკუთარი შესაძლებლობების ძიება, სიყვარული, მორალური ფასეულობანი თუ სხვა.

ქართული დიასპორული მწერლობა კულტურათაშორისი „მესამე სივრცით“ ქმნის მეტ რესურსს, უპასუხოვს პოსტსაბჭოთა რეალობის გამოწვევებს; მეტ შესაძლებლობას – წარმოაჩინოს ალტერნატივები პერმანენტულ დინამიკაში, **პიროვნული იდენტობებისა და თვითიდენტიფიკაციის პოზიციები განაახლოს გლობალურ/ მიგრაციული კონტექსტების მიხედვით.**

დიასპორულ მწერლობაში ასახული პიროვნულ და ფსიქოსოციალურ იდენტობათა ნარატივები გვარწმუნებს, რომ საჭირო და აუცილებელი გახდა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სინამდვი-

ლისა და 90-იანი წლების ტრავმის აღწერა, არამედ არსებული სტერეოტიპების (ნაციონალური თუ საბჭოთა) დეკონსტრუქცია, ნაციონალურ იდენტობათა დეფინიცია/რედეფინიცია.

მართალია, საქართველოში მთავრობათა ცვლის კვალდაკვალ დღესაც არის პოლიტიკური ემიგრაცია, მაგრამ, განსხვავებით XX საუკუნის ემიგრაციისაგან, ეს მიგრაციულ პროცესს პოლიტიკურ კონტექსტში არ აქცევს. საზღვრების ღიაობისა და იდენტობათა დინამიური ცვლადობის პირობებში, „უცხოეთში“ მყოფობასთან დაკავშირებული ფსიქოსოციალური იდენტობები სულ სხვა განზომილებაში თავსდება.

ტრავმისა და გაუცხოების ფენომენი, ნოსტალგია მხოლოდ ნარატორს არ ქმნის, ისინი გარდაიქმნება სხვა თვისობრიობად:

თანამედროვე ტექნოლოგიების გამო სივრცის იდენტიფიკაცია გაადვილებული და შესაძლებელია. ინტერკულტურულ დიალოგში ნაკლებია იდენტობის დაცვის მოტივაცია და სამშობლოს იდეალიზაცია. შესაბამისად, ძლიერდება ადაპტაციის პროცესი. ტრავმა ღია სივრცეში ნაკლებად ტრაგიკულია. გაუცხოება ხდება არა ემოციებისა თუ ტრავმის, არამედ საკუთარი განსაკუთრებულობის, უპირატესობის შეგრძნების საფუძველი, რომ მან შეძლო წასვლა, სამშობლოს დატოვება. გაუცხოება, ტრავმა ამ შემთხვევაში მწერალს საკუთარ ნაჭუჭში კი არ კეტავს, არამედ გარდაიქმნება დიასპორულ, იდენტობათა პარადიგმულ სივრცეში თვითდამკვიდრების, პიროვნული „მე“-ს მოძიების იარაღად. ნოსტალგია ტვირთად აღარ იქცევა. ემიგრაციის მიზეზები საკმარის მოტივაციას იძლევა წარმატების მოსაპოვებლად, თუნდაც ისეთი ბარიერების გადასალახავად, რომლებსაც სამშობლოში, შესაძლოა, შეშინებოდა. ედვარდ საიდის აზრით, ემიგრაცია ამჟღავნებს და აძლიერებს ემიგრანტის „შინაგან, დაფარულ ენერგიას“. „ემიგრაციაში შესაძლოა არსებობდეს გამოძევების ენერგია“ (Саид, 2012).

დღეს ემიგრანტები ქმნიან განსაკუთრებულ მიკროსამყაროს, თავისუფლების განსაკუთრებულ ფენომენს (თავისუფალია იმდენად, რამდენადაც არც ერთ საზოგადოებას არ ეკუთვნის). თავისუფლებას აფართოებს ემიგრაციის კულტურულ შესაძლებლობათა არეალი (მულტილინგვიზმი, მულტიკულტურალიზმი, ავანგარდიზმი, პოსტმოდერნიზმი, გამომცემლობების, ჟურნალების სიჭრელე და სხვა). ეს ყველაფერი კი უმეტესწილად „უზრუნველყოფს უზარმაზარ შემოქმედებით პოტენციალს, ხსნის მოულოდნელ შემოქმედებით შესაძლებლობებს“ (Кристева, 2005).

წარსულსა და სამშობლოში დაბრუნების მტკიცე სურვილის (რაც XX საუკუნის ემიგრანტი-სათვის მთავარი სამომავლო ორიენტირი იყო) ნაცვლად იკვეთება უცხო გარემოცვაში თვითდამკვიდრების მიზანი, სამყაროში ყოფნის ახალი მოულოდნელი შესაძლებლობები. დიასპორული სივრცის მწერალი საკუთარ „ნაჭუჭში“ აღარ იკეტება, ცდილობს შექმნას ახალი კოსმოპოლიტური და ადაპტაციური მექანიზმები როგორც თემატური, ასევე მხატვრულ-გამომსახველობითი მიმართულებით.

ფსიქოსოციალურ იდენტობათა ტრანსფორმაციები ქართული დიასპორული მწერლობის არეალში ყოველდღიურად იცვლება, ახლდება. აუცილებელია იდენტობათა დისკურსების კვლევა ისეთი მწერლების შემოქმედებაში, როგორებიც არიან: ნინო ხარატიშვილი, ლევან ბერიძე, ბელა ჩეკურიშვილი, ზურაბ გურული, გაბრიელ ტანიე (სოსო გაჩავა), სოსო მეშველიანი, ნანა ექვთიმიშვილი, მაია ციციშვილი, რუსუდან ჭუბაბრია, ირაკლი კაკაბაძე, მანანა კობაძე, რუსკა ჟორჟოლიანი, ლევან მუსხელიშვილი, ლელა ლაშხი, დავით ქართველიშვილი, ლეო ვარდიაშვილი, ნოდარ მაჭარაშვილი, ნანი მანველიშვილი და სხვა.

ფსიქოსოციალური კონცეპტები მიგრაციულ ლიტერატურულ დისკურსში ქმნის მრავალფეროვნების, მრავალაზროვნების მეტად საინტერესო სურათს, ალტერნატიულობის უწყვეტ ჯაჭვს, ხოლო მათი განხილვა წარმოაჩენს ბევრ პრობლემას ნაციონალური და გლობალურ/ინტერკულტურული იდენტობების კვეთაში, სვამს ბევრ კითხვას, ზოგჯერ პასუხობს კიდევაც, ზოგჯერ კი მკითხველი ეძებს პასუხს და დღეს ესეც მეტად მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვიკტორ ნოზაძის ეპისტოლური მემკვიდრეობა, მისი და მისადმი მიწერილი წერილები. ხელნაწერი – ავტოგრაფები. ტ. III. 1950-70. დაცული იყო თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში, ამჟამად ინახება საჯარო ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილებაში.
- ნოზაძე, ვიკტორ. (1948). ქართული მოდგმა და ხასიათი. კრებულში: „გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი“. ხელნაწერი (ავტოგრაფი). დაცული იყო თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმში, ამჟამად ინახება საჯარო ბიბლიოთეკის საარქივო განყოფილებაში.
- პაპავა, აკაკი. (1960). კრებული 1500-წლოვან თბილისს. ლექსები და წერილები: წინასიტყვაობა (გვ.7-15). წერილი თბილისზე და მის მწერლობაზე (77-93). წერილი ძველ და ახალ ქართულ კრიტიკაზე (107-119). სანტიაგო დე ჩილე.
- ჩიტაური, ნათელა. (2016). XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა. წიგნში: ა. კარტოზია, ნ. ჩიტაური, შ. შამანაძე... „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“, თბილისი: „უნივერსალი“.
- წიფურია, ბელა. (2016). ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Beyers, W. & Goossens, L. (2007). Dynamics of perceived parenting and identity formation in late adolescence. *Journal of Adolescence*, 31, 2008.165-184. doi: 10.1016/j.adolescence. 04.003.
- Sturm-Trigonakis, Elke. (2007). Global playing in der Literatur: ein Versuch über die Neue Weltliteratur Königshausen & Neumann, *Globalization in literature* , 275 p.
- Кристева Юлия. (2005). Изоляция, идентичность, опасность, культура... *Журн. "Вестник Европы"*. 15. <http://bit.ly/2meRMaQ>
- Саид, Эдвард. (2012). Культура и империализм. пер. с англ. А. В. Говорунова, (послел. А. В. Говорунова). СПб.: Владимир Даль.

References:

- Beyers, W. & Goossens, L. (2007). Dynamics of perceived parenting and identity formation in late adolescence. *Journal of Adolescence*, 31, 2008.165-184. doi: 10.1016/j.adolescence. 2007.04.003.
- Chit'auri, Natela. (2016). XX sauk'unis kartuli emigrant;uli mts'erloba. Ts'ignsi: A. K;art;ozia, N. Chit'auri, Sh. Shamanadze... „Kartuli mts'erlobis int'erk'ult'uruli modeli da natsionaluri ident'obis p'roblema“. [Georgian Emigrant Writing of the 20th Century. In: A. Kartoziya, N. Chitauri, Sh. Shamanadze... “The Intercultural Model of Georgian Writing and the Problem of National Identity”]. Tbilisi: “universali”.
- Kristeva Yuliya. (2005). Izolyatsiya, identichnost', opasnost', kul'tura... [Isolation, Identity, Danger, Culture...]. *Jurn. "Vestnik Yevropy"*. 15. <http://bit.ly/2meRMaQ>
- Said, Edward. Culture and Imperialism. Translated from English by A. V. Govorunov (afterword by A. V. Govorunov). St. Petersburg: Vladimir Dal. 2012.
- Nozaze, Viktor. (1948). Kartuli modgma da khasiati. K'rebuli: „gardasul jamta sakmeni da ambavni“. [Georgian origin and character. In the collection: “Deeds and stories of bygone times”]. Khelnats'eri (avtografi).
- P'ap'ava Ak'ak'i. K'rebuli 1500-ts'lovan Tbiliss. Leksebi da ts'erilebi: ts'inasiq'vaoba (7-15). Ts'erili Tbilisze da mis mts'erlobaze (77-93). Ts'erili dzvel da akhal kartul k'rit'ik'aze (107-119). 1960. [Collection 1500-year-old Tbilisi. Poems and letters: Preface (pp.7-15). Letter on Tbilisi and its writings (77-93). Letter on old and new Georgian criticism (107-119)]. Santiago de Chile.
- Ts'ipuria, Bela. (2016). Kartuli t'ekst;i sabts'ota/p'ost'sabts'ota/ p'ost'modernul k'ont'ekst'shi. [Georgian Text in the Soviet/Post-Soviet/Postmodern Context]. Tbilisi: Ilias sakgelmts'ipo universit'et'is gamomtdemloba.
- Said, Edward. (2012). Kul'tura i imperIALIZM. Per. s angl. A. V. Govorunova (poslesl. A. V. Govorunova). SPb.: Vladimir Dal'.
- Sturm-Trigonakis, Elke. (2007). Global playing in der Literatur: ein Versuch über die Neue Weltliteratur Königshausen & Neumann, *Globalization in literature* , 275 p.
- Viktor Nozazis ep'istoluri memk'vidreoba, misi da misadmi mits'erili ts'erilebi. Khelnats'eri – avtografebi. T'. III. 1950-70. Datsuli iq'o Tsu kartuli emigratsiis muzeumshi, amjamad inakheba sajaro bibliotek'is saarkivo ganq'op-ilebashi. [Victor Nozadze's epistolary heritage, his letters and those addressed to him. Manuscript – autographs. Vol. III. 1950-70. Preserved in the Georgian Emigration Museum of TSU, currently kept in the archive department of the Public Library].